საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №115

თბილისი „07“ 02 2018 წ.

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჩ[1]“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ზ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 01 თებერვლის N104104 სამსახურებრივი ბარათის გათვალიწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს პროგრამა - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ (პროგრამული კოდი - 32 04 02 03) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტსა და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების შესრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ჩხენკელი

შემსრულებელი:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

---------- 05.02.2018 /ნინო ეგრისელაშვილი/

შეთანხმებულია:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელთან

---------- 05.02.18 ----/თამარ ლაჩაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

---------- 05.02.2018 ----/ეკატერინე მაჩიტიძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

---------- 05.02.2018 ----/დავით ლომინაშვილი/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელთან

---------- /მარიამ ტაბატაძე/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსთან/უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

---------- /ვალერიან გობრონიძე/

მინისტრის მოადგილესთან

---------- /ალექსანდრე თევზაძე/

მინისტრის პირველ მოადგილესთან

---------- /ქეთევან ნატრიაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
3. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
5. შიდა აუდიტის დეპარტამენტს.

14586

დანართი

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს

პროგრამული კოდი - 32 04 02 03

2018

შემსრულებელი:

სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

_____ /ეკა გვარამია/

შეთანხმებულია:

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი/უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

_____ /ვალერიან გობრონიძე/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი

_____ /მარიამ ტაბატაძე/

მინისტრის მოადგილე

_____ /ალექსანდრე თევზაძე/

მუხლი 1. პროგრამის დასახელება და განხორციელების ვადები

1.1.პროგრამის დასახელება	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს
1.2.პროგრამის განხორციელების ვადები	2018 წელი
1.3.პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	4 100 000 ლარი

მუხლი 2. პროგრამის/მიზანი

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება.

მუხლი 3. პროგრამის/აღწერა

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ემსახურება სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლებას და სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობას მათთვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის მეშვეობით.

მუხლი 4. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

1. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს პროგრამაში ჩართული სსიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები (შემდგომში - სტუდენტები).
2. პროგრამაში ჩართულია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა დამფუძნებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოეყოფათ ასიგნებები ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად.
2. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები 2018 წელს სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნებიან იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში.

3. პროგრამაში ჩართულ, დანართი 1-ით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2018 წლის იანვრის და თებერვლის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №81 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 ნოემბრის №1039 ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართის დანართი 3-ის შესაბამისად.

4. პროგრამაში ჩართულ, თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2018 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.

5. პროგრამაში ჩართულ, თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.

6. თითოეულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

7. სტიპენდიანტთა შერჩევას თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაზღვრული სტუდენტთა ოდენობისა და დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ახორციელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შერჩევის კრიტერიუმი, რომელიც მტკიცდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, უნდა ეფუძნებოდეს: სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას, მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა.

8. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირთა განსაზღვრა ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, გასული სემესტრის მონაცემების საფუძველზე.

9. პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას სტიპენდიის გაცემა შეწყდება.

10. ამ მუხლის მეცხრე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისათვის სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ.
11. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო.
12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოადგინოს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი
სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%.

მუხლი 7. პროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

N	ამოცანა/შედეგი	აქტივობები	ვადები
1	2018 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სტიპენდიანტთა შერჩევა	1.1 სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა 1.2 სტიპენდიანტთა შერჩევა	2018 წლის იანვარი-თებერვალი
2	2018 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტიპენდიანტთა შერჩევა	2.1. სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა 2.2 სტიპენდიანტთა შერჩევა	2018 წლის მარტი-ივლისი
3	2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტიპენდიანტთა შერჩევა	3.1 სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა 3.2 სტიპენდიანტთა შერჩევა	2018 წლის ოქტომბერი-დეკემბერი

მუხლი 8. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

N	პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
1	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის	უზრუნველყოფს სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრას

	სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო	
2	პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	უზრუნველყოფენ სტიპენდიანტთა შერჩევას

მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**სულ 2018 წელი**
32 04 02 03	**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**	**4,100,000.0**
	სხვა ხარჯები	4,100,000.0

მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

1. საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი

2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2685 სტუდენტი.

2. მიზნობრივი მაჩვენებელი

2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში და 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 2685 სტუდენტი.

3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 5%-ს.

4. შესაძლო რისკები

პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება.

დანართი 1

პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2018 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა	2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდიანტთა რაოდენობა	თანხა ერთ თვეში (ლარი)	თანხა ორი თვის განმავლობაში (ლარი)
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15,410	616	92,400.00	184,800.00
2	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	4,983	199	29,850.00	59,700,000
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	13,613	545	81,750.00	163,500.00
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6,877	275	41,250.00	82,500,00
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1,204	48	7,200.00	14,400,00
6	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	19,685	787	118,050.00	236,100,00
7	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	483	19	2,850.00	5,700.00
8	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1,138	46	6,900.00	13,800,00
9	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2,436	97	14,550.00	29,100.00
10	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	1,320	53	7,950.00	15,900.00
	სულ	**67,149**	**2,685**	**402,750.00**	**805,500,00**